<u>საჯარო სამართლის იურიდიული პირი -</u>

<u>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</u>

ბრძანება № 01-10/28

ქ. ბათუმი 01 მარტი, 2023 წელი

„დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის № 17 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ სწავლის საფასურის და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის № 17 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის № 01-08/137 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის **„მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 20 ივლისის №01-02/181 ბრძანების, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის ნინო ველთაურის 2023 წლის 13 თებერვლის წერილის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორის მამუკა გოგელიას 2023 წლის 24 თებერვლის №225008 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულების პროფესიული გადამზადების პროგრამის **,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“** სწავლის საფასური განისაზღვროს **ერთ მსმენელზე 1600 (ათას ექვსასი) ლარით** (არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფში).
2. შრომის 1 (ერთი) საათის ანაზღაურება 10-15 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფის შემთხვევაში როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ისე დამხმარე პერსონალისთვის **განისაზღვროს 50 ლარით;**
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი **მ. დიასამიძე**